ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №-9

2010 წლის 17 აგვისტო
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა

თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგო თანახმად დანართისა.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 26 იანვრის №-3 დადგენილება.
3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკო ბერაძე

დამტკიცებულია
ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2010 წლის 17 აგვისტოს 9 დადგენილებით

№-	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)
1	გამგებელი	2360
2	გამგებლის მოადგილე	900
3	გამგეობის სამსახურის უფროსი	700
4	გამგეობის სამსახურის განყოფილების უფროსი	500
5	გამგებლის თანაშემწე, – უფროსი საჯარო თანამდებობის პირი	450
6	მთავარი სპეციალისტი, რეფერენტი – უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	420
7	გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი გამგეობის რწმუნებული, წამყვანი სპეციალისტი - უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	400
8	სპეციალისტი - უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	400
9	ტერიტორიული ორგანოს წამყვანი სპეციალისტი- უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	300
10	ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტი – უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	220
11	სახანძრო დაცვის სამსახურის უფროსი	570
12	სახანძრო დაცვის სამსახურის ჯგუფის უფროსი - უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	380
13	სახანძრო დაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი – უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	350
14	სახანძრო დაცვის სამსახურის სპეციალისტი - უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	300
15	სახანძრო დაცვის სამსახურის რაზმის უფროსი - უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	320
16	სახანძრო დაცვის სამსახურის მეხანძრე - უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	280
17	დამხმარე მოსამსახურე	250